

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N 53

20.04.2021  
13:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2  
დimitრი ყიფიანის სახელობის სხდომათა დარბაზი

მიმდინარე წლის 20 აპრილს, 13:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამი კომისიის გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი), დათო რურუა (კომისიის წევრი) და შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი **გაიოზ თალაკვაძე**, მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე **ლევან მიქავა**, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები და აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 6 (ექვსი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ ინფორმაცია (საფუძველი N12-03210576-03, 26.02.2021) (მომხსენებელი - **გაიოზ თალაკვაძე**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი)

სხდომა წარიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო და ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების** კომისიებთან ერთად.

კომისიების გაერთიანებულ სხდომას უძღვებოდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩაკვეტაძე**.

*ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.*

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ საკითხი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა წარმოადგინა.

**გაიოზ თალაკვაძე** - მოგესალმებით, წარმოგიდგინებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის წლიურ ანგარიშს. თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განსაზღვრული იყო 901 848,0 ათასი ლარით, ხოლო საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 930 239,0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 103.1%-ია. შემოსავლების გეგმა იყო 853 437,0 ათასი ლარი, ფაქტიურად შესრულებულია 868 463,0 ათასი ლარი, რამაც გეგმის 101.8% შეადგინა. არაფინანსური აქტივების კლების სახით საანგარიშო პერიოდში ჩარიცხულია 61 678,0 ათასი ლარი, მათ შორის 12 854,0 ათასი ლარი მიღებულია ძირითადი აქტივების გაყიდვიდან. მატერიალური მარაგების გაყიდვიდან მიღებულია 260,0 ათასი ლარი და მიწის გაყიდვიდან 48 543,0 ათასი ლარი. ფინანსური აქტივების კლებამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 94,5 ათასი ლარი, რაც ვალუტა და კრედიტ დეპოზიტებშია ასახული. ვალდებულებების ზრდის სახით საანგარიშო პერიოდში ასახულია 3,0 ათასი ლარი. 2020 წელს ნაშთის ცვლილება ასახულია 219 780,0 ათასი ლარით, ხოლო ფულადი სახსრების გამოყენება 150 315,0 ათასი ლარით. 2020 წლის პირველი იანვრისთვის, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშზე გარდამავალი ნაშთის სახით იყო 220 669,0 ათასი ლარი, ხოლო 2021 წლის პირველი იანვრისთვის ნაშთმა შეადგინა 70 353,0 ათასი ლარი. 2020 წლის ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებული გეგმა COVID-19 გამო იცით, რომ შემცირდა, მიუხედავად ამისა გეგმა იყო 1 121 648,0 ათასი ლარი, გეგმის შესრულებამ შეადგინა 1 080 555,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 93.6%-ს შეადგენს. გარდამავალი ნაშთი 2021 წლის ბიუჯეტში უკვე ასახულია. რაც შეეხება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულ პრიორიტეტებს: კულტურა, **სპორტი** და **ახალგაზრდობა** შესრულდა - 28 795,0 ათასი ლარით, რაც გეგმის (32 487,1 ათასი ლარი) 88.6%-ია.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

#### **აზრი გამოთქვას:**

**გიორგი ჩაკვეტაძე** - მოგესალმებით, კომისია სპორტის და ახალგაზრდული პროგრამების შესრულების მაჩვენებელს დეტალურად გაეცნო. მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ პანდემიის გათვალისწინებით ყველა მნიშვნელოვანი პროექტი და პროგრამა, რაც 2020 წელს იყო დაგეგმილი, განსაკუთრებით სპორტული ინფრასტრუქტურის ნაწილში წარმატებით განხორციელდა. გარდა ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობისა, გაჩერებულ სპორტული ა(ა)იპ-ის თანამშრომლებს, სრულად აუნაზღაურდათ და ერიცხებოდათ ხელფასები, რაც ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია. რაიონული გამგეობების შესრულებაში, კი ობიექტური მიზეზები გვექონდა კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდული მიმართულებით ღონისძიებების შესრულების მაჩვენებელში, რადგან ძირითადი თანხა სწორედ პანდემიით დაზარალებულ მოსახლეობას მოხმარდა. 2021 წლის ბიუჯეტის მიღებისას ჩვენ წარმოვადგინეთ რამდენიმე რეკომენდაცია, რაც დამატებით პროექტებს გულისხმობს და როგორც ვიცი ფინანსთა სამინისტროსთან აქტიური მუშაობა მიმდინარეობს, რომ ყველა დაწყებული პროექტი გრაფიკის შესაბამისად განხორციელდეს. მაგალითისთვის მინდა მოვიყვანო მერიის ა(ა)იპ ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება, რომელიც მოხალისეებთან აქტიურად მუშაობდა და საკუთარი რესურს

მათ ლოჯისტიკურ საჭიროებებს მოახმარა. ყველა ძირითადი სპორტული და ახალგაზრდული პროგრამა, რაც ჩვენი კომისიის დაქვემდებარებაშია აქტიურად ხორციელდება და ცვლილებები არ შეხება.

შალვა ოგბაიძე - მნიშვნელოვანია, ის მიღწევები, რაც ჩვენმა მუნიციპალიტეტმა 2020 წლის პანდემიის პირობებში შეძლო, როგორც ტრანსპორტის, სოციალური, ჯანდაცვის, საგზაო ინფრასტრუქტურის, ბაღა-ბაღების მშენებლობის და სხვა ძალიან მნიშვნელოვანი პროექტების მიმართულებით, რაც დედაქალაქს ესაჭიროება. გამოვდივარ ინიციატივით გაკეთდეს ელექტრონული ბუკლეტი, თუ რა გაკეთდა დედაქალაქში ჩვენი საკრებულოს პირობებში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“, საკითხი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, დავით ჭელიძე, ავთანდილ ცინცაძე, ლევან ჯაფარიძე, დათო რურუა, შალვა ოგბაიძე - (6), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - (0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ ინფორმაცია გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

გიორგი ჩაკვეტაძე

